# ლელო

№35
(10946)

სექტემბერი. 1995 წ.
ფასი 1000 რუბლი, ან 260 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# ვალერი პარუნაშვილი — საქართველოს ფალავანი!

ჭიდაობის გურმანთათვის საკმაო „ულუფა“ იყო თბილისის სპორტის სასახლეში გამართული ორი ასპარეზობა — საქართველოს გუნდური პირველობა და აბსოლუტური ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში, აგრეთვე თბილისის XXXIII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ვახტანგ ბალავაძის პრიზზე თავისუფალ ჭიდაობაში.

ქართულ ჭიდაობაში გუნდური პირველობისათვის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის 70-მდე მოჭიდავე იბრძოდა და გამარჯვება არავის დაუთმეს საგარეჯოელებმა, მომდევნო საპრიზო ადგილებზე კასპელი და მცხეთელი მოჭიდავეები არიან. საგარეჯოს წარმომადგენლის წარმატებით აღინიშნა აბსოლუტური ფალავნობაც, ეს საპატიო წო-



დება მოიპოვა ვალერი პარუნაშვილმა.

ბოლო წლების ერთგვარი რეზერვაციის „ხუნდები“ ჩამოიხსნა თავისუფალ მოჭიდავეთა ტურნირმა. ამჯერად მაყურებელმა იხილა: რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთა გამოსვლები.

ტურნირის გამარჯვებულები: 48 კგ. რ. მარქარიანი, 52. მ. გევორქიანი (ორივე — სომხეთი), 57 დ. ბარამაშვილი, 62. დ. პოღოსიანი (ორივე — საქართველო), 68. ა. ისმაილოვი (აზერბაიჯანი), 74. ნ. პატურაშვილი, 82. დ. ხურცია, 90. ე. კურტანიძე, 100. ზ. ტყეშელაშვილი, 130. გ. ლოლაშვილი (ყველა — საქართველო).

მსოფლიო ორგზის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის პრიზი წილად ხვდა ნ. პატურაშვილს.

# წარმატება, მერე როგორი!

FIDE
GENS UNA SUMUS

**თუ საზონათშორისო ტურნირის შედეგებს ორიოდე სიტყვით შევაჯამებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ჭადრაკის საერთაშორისო პრესტიჟი ამიერიდან კიდევ უფრო ამაღლდება და განმტკიცდება. ხომ ვწერდით, რომ არავის ჰყავდა საზონათშორისო ტურნირში ჩვენდენი მონაწილე, ახლა იგივე შეიძლება ითქვას უაღრესად პრესტიჟულ პრეტენდენტთა ტურნირზე.**

6 საგზური თუ 7? ასე იდგა საკითხი კიშინიოვში ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში ფინიშამდე სულ რამდენიმე ტურის წინ. მერე ფიდეს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა საბოლოოდ განმარტა, რომ ასწორებს ადრე დაშვებულ შეცდომასა თუ გაუგებრობას. მაშ ასე, 7 საგზური!

ამ საგზურების პრეტენდენტები სხვებთან ერთად ქართველი დიდოსტატებიც იყვნენ.

ყველაზე უკეთ, უფრო სწორად, სრულიად მშვიდად ბოლო ტურს შეიძლებოდა ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი შეხვედროდნენ, მათ უკვე ჰქონდათ 8,5-8,5 ქულა, რაც თავიდანვე ექსპერტების გამოანგარიშებით, გამსვლელ ბალად ითვლებოდა.

ამ მარაგს არახამიამ ბოლო ტურში კიდევ ერთი ქულა დაუმატა — ჟუ ჩენს (ჩინეთი) სძლია. ეს კი ბრწყინვალე შედეგია — 9,5 ქულა ცამეტიდან! ამასთან, პირველი პრიზი და პრეტენდენტის „კვერთხი“. ამ წარმატებით არახამია კვლავ ჩადგა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რიგებში.

ამ შეჯიბრების წინ თუ ვინმეს უჭირდა, ეს პირველ რიგში ქეთევან კახიანზე ითქმის. მას 14 აგვისტოს შვილი შეეძინა და, ეტყობა, ბევრი იფიქრა, სანამ ამ ტურნირში მონაწილეობას გადაწყვეტდა. ამჯერად იგი პირდაპირ „რკინის დედის“ როლში მოგვევლინა — 5 პარტია მოიგო, დანარჩენებს დაუზავდა და მეორე პრიზს დაეუფლა. ეს დიდი მიღწევაა, შეუდრეკელობისა და შეუპოვრობის იშვიათი ნიმუში!

8,5 ქულა ერთბაშად ოთხმა დიდოსტატმა მოაგროვა — ოთხივეს მიღწევა სრულიად დამსახურებულია. ნანა იოსელიანმა შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო და კიდევ ერთხელ ითამაშებს პრეტენდენტთა ტურნირში იმავე ალისა მარიჩთან (იუგოსლავია), ალისა გალიამოვასა (უკრაინა) და პენგთან (ჩინეთი) ერთად, რომლებმაც ამჯერად მასთან გაიყვეს ადგილები.

ერთი სიტყვით, ამ 6 გამარჯვებულს კიდევ ერთი უნდა დამატებოდა. 8-8 ქულით დაასრულეს შეჯიბრება ნინო გურიელმა, სვეტლანა მატვეევამ (რუსეთი) და ვესნა მისანოვიჩმა (ბოსნია და ჰერცოგოვინა). გურიელს საგზურის მოსაპოვებლად უკანასკნელ ტურში ყაიმიც აძლევდა ხელს თეთრებით გალიამოვასთან, მაგრამ თავი იჩინა დიდმა ნერვიულობამ. გურიელი დამარცხდა და როგორც მოგვიანებით გამოირკვა, კოეფიციენტების ცხრილში უკეთესი მონაცემების გამო პრეტენდენტი ვესნა მისანოვიჩი გახდა, დასანანი წაგებაა!

ნინო ხურციძემ და მირანდა ხორავამ 7-7 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება, რაც უდაოდ კარგი შედეგია ასეთი მაღალი დონის ტურნირის დებიუტანტებისათვის. ნატო ეძგვერაძემ 6,5 ქულა მოაგროვა, მაია ლომინეიშვილმა — 6 და ნათია ჯანჯღავამ — 4,5.

გივი გამრეკელი

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## „დინამო“ (ბათუმი) — „სელტიკი“ (გლაზგო) 2-3

**„დინამო“ (ბათუმი): ბალაძე, მალანია (დ. მახარაძე 46), შანიძე, მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ.მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (ფუტკარაძე 86), უჯმაჯურიძე (კანტიძე 46), მინდაძე.**

**„სელტიკი“ (გლაზგო): მარშალი, ბოიდი, მაკვინლი, ვატა, ჰიუზი, სტიუარტი, ო' დონელი, დონელი (ფელკონერი 70), უოკერი (გრანკი 89), ტომი, კოლინზი.**

**მსაჯები: ა.კლეინი, ო. ფაბიანი, დ. ბარაკი (ისრაელი).**

**უეფას დელეგატი ჰორსტ ბრუმაიერი (ავსტრია).**

**გოლები: მაჭუტაძე (11), ტომი (24,88), დონელი (42), ტულუში (68).**

**გააფრთხილეს: დონელი, კოლინზი, შეყილაძე.**

ბათუმელებმა მატჩი სწრაფი იერიშებით დაიწყეს და უკვე მე-11 წუთზე მაჭუტაძის ძლიერად დარტყმული ბურთი მეტოქის მცველს მოხვდა და მაღალი ტრაექტორიით ჩაეშვა მარშალის კარში. ტემპი შემდეგაც არ შენელებულა, სახიფათოდ ურტყამდნენ მაჭუტაძე, ტულუში, მინდაძე. აღფრთოვანებული იყო მაყურებელიც, მაგრამ ჩვენს დაცვაში მოხდა ლაფსუსი — საჯარიმოს მოგერიებისას ბურთი აეჭრა ტულუშს და ტომის მისამართით შესანიშნავი პასი გამოუვიდა. მეტოქემაც შანსი არ დაკარგა და ანგარიში გაათანაბრა.

ტექნიკური შოტლანდიელები გააქტიურდნენ, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო ბალაძემ, თუმცა 42-ე წუთზე მაინც მიიღო ბურთი საკუთარ კარში — გოლი გაიტანა დონელმა.

მეორე ტაიმში მალანიასა და უჯმაჯურიძის ნაცვლად დ.მახარაძე და კანტიძე ჩაებნენ თამაშში. ტაიმი დინამოელებმა მასირებული იერიშებით დაიწყეს. მეტოქის მცველები ნერვიულობდნენ, ბურთს უმისამართოდ იგერიებდნენ. 50-ე წუთზე მარშალიც შეცდა, მაგრამ ბათუმელებმა ვერ მოახერხეს ცარიელ კარში ბურთის გაგზავნა. მონდომებამ მაინც გამოიღო შედეგი. 68-ე წუთზე ტულუშმა შესანი შნავად „გააცურა“ მეტოქის რამდენიმე მცველი და ლამაზი გოლი გაიტანა.

გაჩნდა ტიტულოვანი მეტოქის დამარცხების შანსი. დინამოელებმა ტემპს მოუმატეს, მაგრამ... მატჩის მიწურულს ტომმა კიდევ ერთხელ აიღო ბალაძის კარი.

ბათუმის გუნდმა ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისათვის, მაგრამ მაინც წააგო, წააგო ღირსეულ მეტოქესთან, ღირსეულ ბრძოლაში, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ ჯრის.

საპასუხო მატჩი გლაზგოში 28 სექტემბერს გაიმართება.

დათო ბარამიძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში.

გთავაზობთ ევროპის ქვეყნების საკლუბო ტურნირების გათამაშებათა პირველი რაუნდის შედეგებს:

ჩემპიონთა ლიგა
„ბლეკბერნი“ (ინგლისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0-1
„დინამო“ (კიევი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) 1-0
„ლეგია“ (პოლონეთი) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია) 3-1
„ნანტი“ (საფრანგეთი) — „პორტუ“ (პორტუგალია) 0-0
„ბორუსია“ (მენპენგლადბახი, გერმანია) — „იუვენტუსი“ (იტალია) 1-3
„სტიაუა“ (რუმინეთი) — „რეინჯერსი“ (შოტლანდია) 1-0
„აიაქსი“ (ჰოლანდია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) 1-0
„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) 0-3

თასების მფლობელთა თასი
„დინამო“ (ბათუმი) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 2-3
„დინამო“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი) 3-1
დაგ (ლატვია) — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 0-7
„ბრიუგე“ (ბელგია) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1-0
„გრადეც-კრალოვე“ (ჩეხეთი) — „კოპენჰაგენი“ (დანია) 5-0
„ლოკომოტივი“ (ბულგარეთი) — „ჰალმსტადი“ (შვეცია) 3-1
„რეიკიავიკი“ (ისლანდია) — „ევერტონი“ (ინგლისი) 2-3
„ინტერი“ (სლოვაკეთი) — „სარაგოსა“ (ესპანეთი) 0-2
„რაპიდი“ (ავსტრია) — „პეტროლული“ (რუმინეთი) 3-1
„მოლდე“ (ნორვეგია) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) 2-3
აეკ (საბერძნეთი) — „სიონი“ (შვეიცარია) 2-0
„ბორუსია“ (გერმანია) — „სილექსი“ (მაკედონია) 3-0
„ტეუტა“ (ალბანეთი) — „პარმა“ (იტალია) 0-2
„ჟალგირისი“ (ლიტვა) — „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) 2-2
„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „მაკაბი“ (ისრაელი) 4-0
„აპოელი“ (კვიპროსი) — „ლა კორუნია“ (ესპანეთი) 0-0
საპასუხო შეხვედრები — 26 სექტემბერს

უეფას თასი
„ა“ ჯგუფი
„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ბრანიკი“ (სლოვენია) 2-0
„აპოელი“ (ისრაელი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 0-7
„ლაციო“ (იტალია) — „ომონია“ (კვიპროსი) 5-0
„სტრასბური“ (საფრანგეთი) — „უიპემტი“ (უნგრეთი) 3-0

„ბ“ ჯგუფი
„მილანი“ (იტალია) — „ზაგლემბე“ (პოლონეთი) 4-0
„ვარდარი“ (მაკედონია) — „ბორდო“ (საფრანგეთი) 0-2
„გიმარაეში“ (პორტუგალია) — „სტანდარდი“ (ბელგია) 3-1
„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ბეტისი“ (ესპანეთი) 1-2

„გ“ ჯგუფი
„როტორი“ (ვოლგოგრადი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) 0-0
„მიუპა-47“ (ფინეთი) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 1-1
„ლანსი“ (საფრანგეთი) — „ავენირი“ (ლუქსემბურგი) 6-0
„სპარტა“ (ჩეხეთი) — „სილკებორგი“ (დანია) 0-1

„დ“ ჯგუფი
„ლიერსი“ (ბელგია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) 1-3
„ქსამაქსი“ (შვეიცარია) — „რომა“ (იტალია) 1-1
„სევილია“ (ესპანეთი) — „ბოტევი“ (ბულგარეთი) 2-0
„როდა“ (ჰოლანდია) — „ოლიმპია“ (სლოვენია) 5-0

„ე“ ჯგუფი
„ბაიერნი“ (გერმანია) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0-1
„აუსტრია“ (ავსტრია) — „დინამო“ (მინსკი) 1-2
„მალმე“ (შვეცია) — „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი) 2-1
„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ვიძევი“ (პოლონეთი) 1-0

„ფ“ ჯგუფი
„მონაკო“ (საფრანგეთი) — „ლიდსი“ (ინგლისი) 0-3
„ბრონდბიუ“ (დანია) — „ლილესტრიომი“ (ნორვეგია) 3-0
„რაიტ როვერსი“ (შოტლანდია) — „აკრანესი“ (ისლანდია) 3-1
„ფრაიბურგი“ (გერმანია) — „სლავია“ (ჩეხეთი) 1-2

„ჟ“ ჯგუფი
„სლოვანი“ (სლოვაკეთი) — „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) 2-1
„ლუგანო“ (შვეიცარია) — „ინტერი“ (იტალია) 1-1
„ფარენსე“ (პორტუგალია) — „ლიონი“ (საფრანგეთი) 0-1
„ლევსკი“ (ბულგარეთი) — „ალოსტი“ (ბელგია) 1-2

„ნ“ ჯგუფი
„ვერდერი“ (გერმანია) — „გლენავონი“ (ჩრ. ირლანდია) 0-2
„ვიკინგი“ (ნორვეგია) — „ოსერი“ (საფრანგეთი) 1-1
„სპარტაკი-ალანია“ (ვლადიკავკაზი) — „ლივერპული“ (ინგლისი) 1-2
„ზიმბრუ“ (მოლდოვა) — რაფ (ლატვია) 1-0
საპასუხო მატჩები გაიმართება 26 სექტემბერს.

# „ანტოლია“ — მადლიანი სპონსორი!

ტაეკვონდომ — სპორტის ამ აღმოსავლურმა სახეობამ, რომელიც სეულის ოლიმპიადაზე საჩვენებელ პროგრამაში შეიტანეს, საქართველოშიც ჩამოაღწია და... დამკვიდრდა კიდეც.

თურქული ფირმა „ანტოლიას“ (პრეზიდენტი ზაფერ დურგუნი) თანადგომა რომ არა, საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციის (პრეზიდენტი ალექსანდრე გონგაძე) ნაკრები თავიანთ პირველ საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელიც გაიმართა თურქეთის ქალაქ კასტამონში, მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ტურნირი მიეძღვნა ათათურქის ხსოვნას და 16 ქვეყნის ნაკრებმა მხოლოდ გუნდური პირველობა გაითამაშეს. ადგილები ასე განაწილდა: ვაჟები: 1. თურქეთი, 2. საქართველო, 3. აზერბაიჯანი. ქალები: 1. კვიპროსი, 2. თურქეთი, 3. საქართველო.

დაგვეთანხმებით, წარმატება შთამბეჭდავია. მით უფრო მადლიანია სპონსორის, ფირმა „ანტოლიას“ მიერ გაწეული დახმარება.

ხათუნა გალიაშვილი



## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი — VI ტური

„დინამო (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 5-1
„სიონი“ (ბოლნისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-2
„ეგრისი“ (სენაკი) — „ივერია“ (ხაშური) 1-0
„სამტრედია“ (სამტრედია) — „დინამო“ (ზუგდიდი) 5-2
„კახეთი“ (თელავი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1-0
„გურია“ (ლანჩხუთი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 4-0
„დურუჯი“ (ყვარელი) — „დილა“ (გორი) 0-1

## ინფორმაცია

კაუნასი. კალათბურთში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის განმეორებით მატჩში ადგილობრივ „ჟალგირისსა“ და თბილისის „ვითას“ შორის გაიმარჯვეს ლიტველმა კალათბურთელებმა 100:69 (48:25). შეგახსენებთ, რომ პირველი ორთაბრძოლაც თბილისში „ჟალგირისმა“ მოიგო (78:70). „ვითა“ გამოეთიშა გათამაშებას.

კალათბურთის ფედერაციის ყრილობამ ამავე ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია ავთანდილ საყვარელიძე.

## მილოცვები

თბილისის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს თბილისის სპორტკომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს გივი ყირმელაშვილს.

* * *

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია და თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სპორტული სკოლა დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ტანვარჯიშში, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, დოცენტ გივი ყირმელაშვილს.

# სენსაცია?!



ი. ბლატერი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში, რომლის საგანგებო კომიტეტის სხდომა ციურიხში გაიმართა ამას წინათ, დიდი სკანდალი. მოხდა: ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა მთელ რიგ საკითხებზე დამოუკიდებელი ძიება აწარმოა, ფიფამ ამას „სეპარატისტული“ ქმედებანი უწოდა და წინ აღუდგა მას.

საქმე ეხება ფიფას გენერალური მდივნის იოზეპ ბლატერის დანაშაულებრივ ფინანსურ მაქინაციებს, ეს უკანონობანი კი გამოავლინა არა მარტო უეფამ, არამედ შვეიცარიის საგადასახადო ინსპექციამაც.

სწორედ ეს ინსპექცია ირწმუნება, რომ ზ. ბლატერის წლიური შემოსავალი თურმე 660 ათას დოლარს შეადგენს, ის კი ამ თანხის საგრძნობ ნაწილს მალავს და ცდილობს დაბეგვრას აარიდოს თავი, საკუთარ საცხოვრებელ ადგილად ქ. აპენზელს მიუთითებს, სინამდვილეში კი ციურიხის მახლობლად ზოლიკონში, ფეშენებელურ სასახლეში ბინადრობს, განსხვავება აქ კი ის გახლავთ, რომ აპენზელში გადასახადი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ზოლიკონის ფედერალურ სისტემაში. თანაც ისიც გამოარკვიეს, რომ აქაური საფოსტო კომპანია, თურმე, ბლატერის გამგებლობაში შედის, მას ემორჩილება, ეს კი არც ერთ საბუთში ფიქსირებული არ არის. გარდა ამისა, ბლატერი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინის შენობის ერთ-ერთი მფლობელი ყოფილა ციურიხში და კიდევ ორ საფოსტო კომპანიას განაგებს.

ერთი სიტყვით, სერიოზული ბრალდებები ზეპ ბლატერის წინააღმდეგ საკმარისადაა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# „როკი“ ოლიმპიური თამაშების კარზე აკაკუნებს

დღეს უკვე აღარავის აეჭვებს, რომ აკრობატულ როკ-ნ-როლსა და სპორტს შორის თითქმის მთლად წაშლილია ზღვარი, რის გამოც ამ ცეკვას უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა.

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სპორტული ახალბედა ფართოდ იყენებს იმ სახეობათა ელემენტებს, რომლებსაც ესთეტური დატვირთვა აქვთ. ავიღოთ თუნდაც ფიგურული ციგურაობა, სადაც პრაქტიკულად ყველაფერი ცეკვაზეა აგებული და ვერ გაარჩევ სად მთავრდება ხელოვნება და სად იწყება სპორტი, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ჰარმონიასა და სილამაზეს აგრეთვე ქალთა სპორტულ ტანვარჯიშში. ამ ბოლო ხანს როკენროლელებმა, სპორტულ სამყაროში „კუთვნილი ადგილის“ დასამკვიდრებლად ეროვნულ ტურნირებთან ერთად საერთაშორისო ასპარეზობებიც გამართეს. მათ შორის გათამაშდა ევროპის ჩემპიონატი და თასი (პირადი და გუნდური), მსოფლიო თასი და ჩემპიონატი. ცალკე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონობა „როკ-ნ-როლ ფორმეიშენში“.



ბოლო წლებში როკ-ნ-როლის მსოფლიო კონფედერაციის ეგიდით, რომელშიც რამდენიმე ათეული ქვეყანა შედის, სისტემატურად იმართება უამრავი წარმომადგენლობითი ტურნირი.

ჩვენმა სპორტსმენებმა, უფრო ზუსტად, ყოფილი საბჭოეთის წარმომადგენლებმა, ეს ცეკვა 1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე იხილეს და დაუყოვნებლივ აითვისეს კიდეც. მაგრამ სპორტის ჩინოვნიკებმა მასში „დასავლეთის მავნე გავლენა აღმოაჩინეს“ და დიდი ხნით ტაბუ დაადეს.

ამასობაში ევროპამ წარმატებით აითვისა როკ-ნ-როლი. ტონს იძლეოდნენ საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, შვეიცარიისა და გერმანიის მოცეკვავეები:

აკრობატულ როკ-ნ-როლში ასპარეზობა ჯგუფებში ტარდება, რომლებიც დაკომპლექტებულია სპორტსმენთა ასაკის კი არა, მომზადების დონის მიხედვით და ბევრი ამითაც მიიჩნევს მას დემოკრატიულ სახეობად.

ფიგურული ციგურაობისა და მხატვრული ტანვარჯიშის მსგავსად, აქაც არის სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამები, სადაც ყოველ ელემენტს სირთულის კოეფიციენტი აქვს. მათი ჯამის მიხედვით ვლინდება საბოლოო შედეგი, რომელშიც შედის არტისტიზმისა და ესთეტურობის შეფასება.

აკრობატულ როკ-ნ-როლს მსოფლიოში საკმაოდ აქვს ფეხი მოკიდებული, და, ვინ იცის, იქნებ მომავალში ოლიმპიურ თამაშებზეც მოგვევლინოს!

## ხელმოწერა „ლელოზე“ გრძელდება

## ჩაუქრობელი ვარსკვლავები

# გერმანელები მას „ჩვენს უვეს“ ეძახიან




ლაიფციგში გამოცემული ფრიად სოლიდური „ფუსბალ-ლექსიკონი“ ფეხბურთელთა ბიოგრაფიების აღწერისას გვერდს უვლის გერმანულ ტრადიციას და უვე ზეელერის გვარის გასწვრივ წერს მის მეტსახელსაც — „ჩვენი უვე“. ზეელერს გაისად 60 წელი შეუსრულდება, ფეხბურთს კარგა ხანია თავი დაანება, სპორტული საქონლის მაღაზიის მფლობელია, მას კი დღესაც ყველა ამ მეტსახელით იხსენიებს. „დიახ, ჩვენი გულშემატკივარი, შლეზვიგ-ჰოლშტაინელია თუ შვაბი, ბავარიელი თუ ჰესენელი, ზეელერს „ჩვენს უვეს“ ეძახის“, წერდა ჟურნალისტი მანფრედ ჰიონელი. ხომ პოპულარული არიან სნაიპერები, მაგრამ ზეელერს მაინც „სუპერსნაიპერის“ სახელი ჰქონდა.

უვე ზეელერი (დაიბადა 1936 წლის 5 ნოემბერს) განთქმულმა ზეპ ჰერბერგერმა აღმოაჩინა. მსოფლიოს V ჩემპიონატი სულ ახალი დამთავრებული იყო, როცა „ბებერმა მელამ“ 17 წლის ზეელერი ნაკრებში მიიწვია, მისი დებიუტი 1954 წლის 16 ოქტომბერს შედგა ჰანოვერში, საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ. დეკემბერში უვემ ნაკრებში ერთხელ კიდევ ითამაშა, ამჯერად ლონდონის „უემბლიზე“. თუ არ მეშლება, —უთხრა ზეელერმა ჟურნალისტებს, — „უემბლიზე“ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ნაკრებში ესოდენ ახალგაზრდა ფეხბურთელს ეთამაშოს.

ამის შემდეგ 16 წლის მანძილზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები პირდაპირ წარმოუდგენელი იყო მისი სულისა და გულის — ზეელერის გარეშე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 4 ჩემპიონატში: 1958, 1962, 1966 და 1970 წლებში. თუმცა მაშინ ვერც ერთხელ ვერ გახდა მისი გუნდი მსოფლიო ჩემპიონი, ვერცხლის მედლები კი დაისაკუთრა. სულ ნაკრებში 72 მატჩი ითამაშა და 43 გოლი გაიტანა. ნაკრებს 1970 წლის 9 სექტემბერს გამოეთხოვა, 1963 წელს მონაწილეობა მიიღო ლონდონის ისტორიულ მატჩში, სადაც ფიფას ნაკრები ინგლისელებს შეხვდა (1-2), 1964 წელს კი უეფას ნაკრებში ითამაშა ბელგრადში იუგოსლავიელთა წინააღმდეგ (7-2). ითვლება გფრ-ის ეროვნული ნაკრების საპატიო წევრად, 1960, 1964 და 1970 წლებში დაასახელეს ქვეყნის №1 ფეხბურთელად. საინტერესოა, რომ უვე ზეელერი მხოლოდ ერთ გუნდში თამაშობდა — მშობლიური ქალაქის „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ (1944-72). დიახ, განთქმული ცენტრფორვარდი ამ კლუბთან 8 წლის ასაკიდან იყო დაკავშირებული, იგი აცხადებდა, რომ უცხოეთში გადასვლა არ უნდოდა, ფული არ აინტერესებდა, მას სახელსა და პოპულარობას ამჯობინებდა. ზეელერმა მარტო მწვანე მინდორზე როდი იცოდა ქომაგების გულის მოგება, იგი ავტოგრაფებზე და ინტერვიუზე არასდროს ეუბნებოდა უარს: „ფეხბურთელი ცოტაოდენ დიპლომატიც უნდა იყოს“ — ხუმრობით თქვა „ჩვენმა უვემ“.

— ახლა კი რამდენიმე სტატისტიკური მონაცემიც მოვიშველიოთ. ყმაწვილთა და ჭაბუკთა შეჯიბრებებში ზეელერმა დაახლოებით 600 გოლი გაიტანა, შემდეგ, პროფესიონალი რომ გახდა, 916 მატჩში კიდევ 772 გოლი, ბუნდესლიგაში 239 მატჩი ითამაშა და 137 გოლი გაიტანა (1963-72). შესანიშნავი მონაცემებია! 1956 წელს 32 ბურთით ქვეყნის ჩემპიონატის №1 სნაიპერი იყო, 1959 წელს — 29, 1960 წელს — 36, 1961 წელს — 30, 1964 წელს — კვლავ 30!

თვით ზეელერი ფიქრობს, ფეხბურთში ასეთ მწვერვალებს ვერ მიაღწევდა, რომ არ ჰყოლოდა მართლაც გამორჩეული მწვრთნელები. „ბავშვობიდანვე ჰამბურგში გიუნტერ მალმანი მავარჯიშებდა, ამის შემდეგ სამუდამოდ შევიგნე, რომ თითოეული მატჩი ჩემთვის ნამდვილი სიხარულის მომტანია. დიახ, მალმანის ხელმძღვანელობით ყოველი მორიგი თამაში „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ სულ უფრო და უფრო მეტ ბედნიერებას მანიჭებდა, ჩემთვის ეს დიდი ზეიმი იყო“.

ყოფილი „ვუნდერკინდი“ უვე ზეელერი განსაკუთრებული პატივისცემით მაინც ნაკრების მწვრთნელებს ზეპ ჰერბერგერსა და მის შემცვლელ ჰელმუტ შიონს იხსენებს. ნაკრების მატჩებისთვის ხომ ამზადებდა და ამზადებდა, თურმე ნუ იტყვით, ეს უაღრესად დაკავებული ჰერბერგერი დროს ნახულობდა და თავისი საყვარელი უვეს ყველა თამაშს ესწრებოდა. თითოეული ასეთი მატჩის შემდეგ ჰერბერგერი ახალგაზრდა ფეხბურთელს ფოსტით უგზავნიდა ვრცელ წერილს მისი თამაშის დაწვრილებითი კომენტარით! ფეხბურთის ისტორიაში ეს, ეტყობა, უმაგალითო შემთხვევაა!

ერთხელ, როცა ზეელერს ჟურნალისტები ეწვივნენ, უვე მათ ყავით გაუმასპინძლდა და თხოვა ნებისმიერი შეკითხვა მიეცათ. ყველაფერზე ზუსტად უპასუხა, ერთის გარდა. კითხვაზე, არის თუ არა იგი მილიონერი, „ჩვენმა უვემ“ ასე მიუგო: „მე, ჩემი ცოლი და სამი ქალიშვილი თავს კარგად ვგრძნობთ“.

# პროფესიულ რინგზე

გრანდ-რეპილსში (მიჩიგანის შტატი, აშშ) გარდაიცვალა მაიკ ტაისონის მომავალი მეტოქის ბასტერ მეტის უმცროსის მამა ბასტერ მეტის უფროსი. იგი 51 წლისა იყო. პროფესიულ კრივში ცნობილი გახდა იმით, რომ თავის დროზე შეხვდა მოჰამედ ალისა და ჯო ფრეზერს (ცხადია, დამარცხდა ორივესთან). კრივიდან უფროსი ბასტერი წავიდა 70-იანი წლების დასაწყისში, გასუქდა საშინლად და ბოლოს 250 კილოგრამს იწონიდა. უკვე სავსებით დეფორმირებულ მოკრივეს გადატანილი ჰქონდა ორი ინფარქტი, დაავადებული იყო დიაბეტითა და ციროზით.

ფრენკ ბრუნოსთან მარცხის შემდეგ უკვე დამხობილმა მსოფლიო ჩემპიონმა მაკოლიმ არ გაიარა დოპინგ კონტროლი. ამისთვის კრივის მსოფლიო საბჭომ მას დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. როგორც ვბს-ს ჟიურიმ განაცხადა, სასჯელის ეს ზომა წინასწარია, ინციდენტის გამოძიება გაგრძელდება. მაკოლის საქმეს შეისწავლის დიდი ბრიტანეთის კრივის კომისიაც.

მატიანე

# ნავასარდოვ — კოროლიოვის „დუელი“

ეს ფოტო, რომელზეც ომამდელი და ომისშემდგომი წლების ორი შესანიშნავი მძიმეწონოსანი მოკრივის მოსკოველ ნიკოლოზ კოროლიოვისა და თბილისელ ანდრო ნავასარდოვის ორთაბრძოლაა აღბეჭდილი, თითქმის ამ ვაჟკაცური სახეობის „დამღა-სიმბოლოდ“ იქცა. სურათის ასეთი პოპულარობა ცხადია, განაპირობა თვით მოკრივეთა მაღალმა ოსტატობამ. მათი ბრძოლის სანახავად ერთიანად მიუწევდა გული დიდსა და პატარას, მაყურებელი ისე მიდიოდა, როგორც კარგი სპექტაკლის პრემიერაზე.

ნავასარდოვ-კოროლიოვის „ოდისეა“ კი იმით დაიწყო, რომ საკავშირო რინგზე მოპოვებულმა თავბრუდამხვევმა წარმატებებმა მოსკოველი სპორტსმენი, ცოტა არ იყოს, ზედმეტად დაარწმუნა თავის ძალებში და მან საბჭოთა მთავრობას მიმართა თხოვნით: „ჩვენი ქვეყნის მოყვარულ მოკრივეებთან შეხვედრები აღარ მაკმაყოფილებს და გთხოვთ უცხოელ პროფესიონალებთან ბრძოლის ნება დამრთოთ“.

ეს განცხადება დაემთხვა საკავშირო ტურნირს, რომელიც იქვე, მოსკოვში, გაიმართა. ასპარეზობაზე საქართველოს ღირსებას სხვებთან ერთად იცავდა ნავასარდოვიც, რომელსაც წილისყრამ პირველ დღეს კოროლიოვი არგუნა მეტოქედ. რინგზე გასვლამდე ადგილობრივი ჟურნალისტები დაჟინებით თხოვდნენ თბილისელ სპორტსმენს: რომელ რაუნდში აპირებთ უარის თქმას ბრძოლის გაგრძელებაზეო, რაზეც ნავასარდოვი, სრულიად აუღელვებლად პასუხობდა: — ამას რინგი გვიჩვენებს! რინგმა კი ის „აჩვენა“, რომ ანდროს უპირატესობა სამივე რაუნდის განმავლობაში აშკარა იყო, მან მაღალ დონეზე წარმართა ბრძოლა და, რომ იტყვიან, ყველა კომპონენტში დაჯაბნა ძლიერი მეტოქე. მაგრამ მსაჯებმა არაობიექტურად შეაფასეს ბრძოლის შედეგი და გამარჯვება მასპინძელს მიაკუთვნეს. ეს დიდი უსამართლობა გაზეთმა „პრავდამ“ აღნიშნა და მსაჯთა კოლეგიამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება, გამარჯვებულად ა. ნავასარდოვი გამოაცხადა. მას შემდეგ კოროლიოვ-ნავასარდოვის შეხვედრები ამშვენებდა



საკავშირო პირველობებს.

ა. ნავასარდოვის სპორტული კარიერა გამოირჩევა შესაშური სტაბილური შედეგებით: 1937 წლიდან 1949 წლის ჩათვლით, საკავშირო პირველობის პრიზიორობას არ ასცილებია, აქედან 5-ჯერ ფლობდა მეორე საპატიო ადგილს და ხუთივე ფინალური ბრძოლა კოროლიოვთან ჰქონდა, სამჯერ იყო მესამე პრიზიორი, ხოლო 1944 წელს კი დაამარცხა ლეგენდარული კოროლიოვი და ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. ამიტომაც 1936-1954 წლების საქართველოს უცვლელი ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ნავარსარდოვი უყოყმანოდაა შეყვანილი სსრ კავშირის გამოჩენილ მოკრივეთა რიგებში.

ჭეშმარიტი სპორტსმენის მაღალ თვისებებთან ერთად, ბატონ ანდროს, რომელსაც დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, ადამიანური სითბო და თავისი ქალაქის დიდი სიყვარული გამოარჩევს, რისთვისაც თბილისელთა, და არა მარტო მათი, დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვს მოპოვებული.

1949 წ. ნ. კოროლიოვი (მარცხნივ) და ა. ნავასარდოვი. შეხვედრა საკავშირო პირველობაზე [?].
(ფოტო „ლელოს“ არქივიდან).

სამბო • მსოფლიო ჩემპიონატი

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

სოფია. მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში.

52 კგ. 1. დ. მამიროვი (აზერბაიჯანი), 2. მ. სიროტოვი (ბულგარეთი), 3. ბ. ოდიშვილი (საქართველო) და ნ. ციპანდინი (ბელარუსი).

57 კგ. 1. ა. მანუკიანი (სომხეთი), 2. ს. კრუტკო (ბელარუსი), 3. გ. მაგმარი (მონგოლეთი) და დ. გილვანოვი (რუსეთი).

62 კგ. 1. ვ. აბდულაევი (თურქმენეთი), 2. ს. ჟარკოვი (რუსეთი), 3. ა. ბაკშეევნოვი (უკრაინა) და ა. შლიკი (ბელარუსი)... 5. მ. თურქია (საქართველო).

68 კგ. 1. ი. ნეტოვი (ბულგარეთი), 2. ა. მარქარიანი (რუსეთი), 3. ა. ანაორაზოვი (თურქმენეთი) და ვ. დამდინსურენი (მონგოლეთი)... 5. მ. კურდღელაშვილი (საქართველო).

74 კგ. ჯ. მუზაშვილი (საქართველო), 2. ს. გასიმოვი (აზერბაიჯანი), 3. ვ. ბელოვი (რუსეთი) და ა. კუსპიჩი (უკრაინა).

82 კგ. 1. გ. ხაიბულაევი (რუსეთი), 2. ნ. ფილიპოვი (ბულგარეთი), 3. ა. ჟურავეცი (უკრაინა) და ა. კარასევი (თათრეთი)... 5. მ. ჯანანაშვილი (საქართველო).



90 კგ 1. ს. ლოპოვოკი (რუსეთი), 2. ი. გამხიტაშვილი (საქართველო), 3. ე. ფოლადოვი (აზერბაიჯანი) და ნ. ცვეტკოვი (ბულგარეთი).

100 კგ. 1. ო. ოჩირი (მონგოლეთი), 2. გ. ტონკოვი (ბულგარეთი), 3. ე. დოლინინი (ბელარუსი) და გ. ილიუხინი (რუსეთი)... 5. მ. ახალბედაშვილი (საქართველო).

მძიმე. 1. მ. ჰასანოვი (რუსეთი), 2. დ. ბაჩაბეკოვი (ყირგიზეთი), 3. ვ. პარუნაშვილი (საქართველო) და ო. გრიცინი (უკრაინა).

ჩემპიონატში სულ მონაწილეობდა 23 ქვეყნის 138 სამბისტი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იყო რვა მოჭიდავე. გუნდური ადგილები: 1. რუსეთი — 48 ქულა, 2. ბულგარეთი — 28, 3. საქართველო — 28 (ბულგარეთს მეტი საპრიზო ადგილი ჰქონდა), 4. მონგოლეთი, 5. უკრაინა, 6. ბელარუსი, 7. აზერბაიჯანი, 8. თურქმენეთი, 9. სომხეთი, 10. ყაზახეთი...

ჩემპიონატის მედლები განაწილდა თერთმეტ გუნდს შორის. აი ისინიც:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 2 | 3 |
| ბულგარეთი | 1 | 3 | 1 |
| საქართველო | 1 | 1 | 2 |
| აზერბაიჯანი | 1 | 1 | 1 |
| მონგოლეთი | 1 | - | 2 |
| თურქმენეთი | 1 | - | 1 |
| სომხეთი | 1 | - | - |
| ბელარუსი | - | 1 | 3 |
| ყირგიზეთი | - | 1 | - |
| უკრაინა | - | - | 4 |
| თათრეთი | - | - | 1 |

ჩემპიონატთან დაკავშირებით ინფორმაციები გამოქვეყნდა „ლელოს“ 31-ე და 34-ე ნომრებში.

დაიბადა 1910 წელს. სპორტის დამსახურებული ოსტატი (1940), დამსახურებული მწვრთნელი (1957). 1933-დან 1944 წლამდე თამაშობდა მოსკოვის „დინამოში". საკავშირო ჩემპიონატებში ჩაატარა 87 მატჩი, გაიტანა 40 გოლი. სსრკ სამგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი ბურთიან ჰოკეიში და რვაჯერ — თასის მფლობელი. ფეხბურთში ავარჯიშებდა: მოსკოვის „დინამოს", თბილისის „დინამოს" (1961-63 და 1963 წ.წ.), ტაშკენტის „პახტაქორს", მოსკოვის „ლოკომოტივს". 1967-68 წლებში იყო სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

მიხეილ იაკუშინი ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტია ფეხბურთში. გამოირჩევა ღრმა ცოდნითა და ორიგინალური აზროვნებით. ამიტომაც მის მოსაზრებებს ამა თუ იმ მოვლენაზე, ისევე როგორც ცალკეულ ფეხბურთელებზე, აქვს გარკვეული ინტერესი და წონა. ეს ინტერვიუ, რომელსაც ვბეჭდავთ შემოკლებით (ავტორი [illegible]) დაიბეჭდა გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში. დარწმუნებული ვართ, მკითხველი მას ინტერესით წაიკითხავს, მით უფრო, რომ ბევრი რამ ჩვენც გვეხება.

# მიხეილ იაკუშინი იხსენებს



**● ...განა ბობროვი იმიტომ არ წაიყვანეთ ინგლისში, რომ ბრიტანეთის დაცვა „ხიშტით" დაეცხრილა?**

— ვსევოლოდი გუნდის შემადგენლობაში ყოველი შემთხვევისათვის შევიყვანე. ტროფიმოვის თამაში ეჭვის ქვეშ იდგა. მინდოდა მისი გამოყვანა „არსენალთან", მაგრამ ფეხბურთელი, პირველ რიგში, ჯანმრთელად უნდა იყო. ტროფიმოვი ტრავმირებული რომ არ ყოფილიყო, არმიელ ბობროვის დახმარება „დინამოს" არ დასჭირდებოდა. ბობროვს დიდად არასოდეს არ ვაფასებდი. ბურთები, რა თქმა უნდა, გაჰქონდა, მაგრამ თავისი ნახევარმცველის თამაშს არასდროს არ ადევნებდა თვალს, სწორედ ამიტომაც მის სამუშაოს სხვა ასრულებდა. 1945 წლის ტურნეში მის მაგივრად სერგეი სოლოვიოვი მუშაობდა. იგი კარგი მშრომელი იყო. ცდკა-ში ბობროვს ხან გრიშა ფედოტოვი მისცემდა საგოლე პასს, ხან ნიკოლაევი, ზოგჯერაც ვილაც სხვა დაარტყამდა კარში, ის კი უმატებდა. გოლის გატანის სპეციალისტი რომ ხარ კარგია, მაგრამ გუნდში ყველამ გოლის გასატანად რომ ირბინოს და დაცვას არ მიაქციოს ყურადღება — არაფრად ივარგებს.

**● ინგლისში გამგზავრების წინ (საუბარია დინამოელთა 45 წლის ტურნეზე) ალბათ საკმაოდ მკაცრი ინსტრუქტაჟი ჩაგიტარეს?**

— საკითხი ასე არ დამდგარა: წაიგებთ და მთელ გუნდს სოლოვკიში (გადასახლების ადგილი. რედ.) გაგაგზავნითო. მე, მახსოვს გამომიძახეს კრემლში. იყვნენ იქ მალენკოვი, ბერია, კიდევ ვილაც მესამე. მეუბნებიან, არის აზრი გაემგზავროთ ინგლისში და ეთამაშოთ ადგილობრივ პროფესიონალებსო. სხვათა შორის, დღემდე არ ვიცი ვინ იყო ამ ტურნეს ორგანიზატორი, საიდან ან ვისგან მოდიოდა იდეა. ვთხოვე, როგორმე მოეცათ საშუალება გვენახა ინგლისელთა თამაში, წარმოდგენა გვქონოდა მათზე. რა ვიცოდით ჩვენ ინგლისელებზე? მხოლოდ ის, რომ ძლიერად თამაშობენ და შინ ყველას უგებდნენ. „ეცდებით თუ არა" — გვკითხეს კრემლში. ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. სხვათა შორის, არც იმაში, რომ ფეხბურთს ცუდად არ ვთამაშობდით.

**● საინტერესოა ხშირად ხვდებოდით თუ არა „დინამოს" შეფს ლავრენტი ბერიას?**

— ოთხი-ხუთჯერ გუნდთან ერთად და პირისპირაც. ფეხბურთი არასოდეს უთამაშია, მაგრამ ეს თამაში უყვარდა. მახსოვს, შეგვკრიბა ერთხელ „სპარტაკთან" მატჩის წინ, მეკითხება: რა გუნდია „სპარტაკი"? ავუხსენი რაშიც იყო საქმე. გთხოვთ მოუგოთ. მე მოვალე თამაშის სანახავადო. ეს მატჩი ჩვენ კარგად ჩავატარეთ და გავიმარჯვეთ — 5:1. ბერია კმაყოფილი დარჩა.

ინგლისში, როგორც მოვითხოვე, ადრე გაგვიშვეს. გამოვცხადდით საელჩოში. იქ ერთი თანამშრომელი მეგულებოდა, რომელიც ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ ადგილზე არ დაგვხვდა. სადღაც საქმეზე იყო წასული. საელჩოს სხვა თანამშრომლებმა იცოდნენ მხოლოდ ის, რომ ფეხბურთს ორი თერთმეტკაციანი გუნდი თამაშობს. როგორ გამოიყურებიან ინგლისელები? — ვეკითხები მათ, — მაგრამ ხეირიანი პასუხი ვერ მივიღე.

წავედით მატჩზე, „ჩელსი" თამაშობდა. მომეწონა ცენტრალური მცველი ჰარისი. თამაშის მერე შევკრიბე გუნდი. ვეკითხები: რას იტყვით? მპასუხობენ: თამაში შეიძლება! ინგლისელები, რა თქმა უნდა, ტექნიკურები იყვნენ, ფეხბურთი ესმოდათ, ლამაზადაც მოქმედებდნენ, მაგრამ სისწრაფე არ უვარგოდათ.

გაზეთებში ჩვენს შესახებ წერდნენ, რომ თამაში იციან, მაგრამ ფეხბურთით დაკავებულნი არიან მხოლოდ მუშაობის შემდეგ. ამიტომაც რაიმე განსაკუთრებულს არ უნდა ველოდეთო. მათი ვარაუდით, ინგლისელებს რუსები უნდა დაემარცხებინათ...

**● ომის შემდეგ თქვენი ინგლისური ტურნე თავისებურ ლეგენდად იქცა.**

— ერთხანს ამ ტურნეს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, მაგრამ მერე და მერე მივხვდი, რომ ფეხბურთი პოპულარული გახდა ჩვენში სწორედ ამ ინგლისური ტურნეს შემდეგ. ფეხბურთზე სიარული დაიწყო გაცილებით უფრო მეტმა ხალხმა...

**● გამოტყდით, თქვენ ალბათ მაინც გინდოდათ გყოლოდათ გუნდში ისეთი გოლეადორი, როგორიც ბობროვი იყო?**

— მე გრინინი მინდოდა. სხვათა შორის, არმიაში წასვლამდე იგი თამაშობდა კიდეც ჩვენთან. მე ცენტრალური თავდამსხმელი ვიყავი, ის მარჯვენა ინსაიდი. პერსპექტიული ფეხბურთელი იყო. მოვიდა ჯარში გაწვევის დრო, მაგრამ ჩვენს სისტემაში მისი ყოფნა არ შეიძლებოდა თურმე. ბიძა თუ ვილაც ნათესავი ფიგურირებდა ერთ საქმეში. იდიოტები! სამწუხაროდ, მაშინ არ შემეძლო აქტიური ჩარევა ამ ინციდენტში.

ფედოტოვი, რა თქმა უნდა, კარგი იყო, მაგრამ მასზე გამუდმებით ეჭირა თვალი „სპარტაკს". სამწუხაროდ, უიღბლო ფეხბურთელი გახლდათ. ომის შემდეგ იშვიათად თამაშობდა. მეტწილად ტრავმირებული იყო...

**● ვასილი სტალინი თუ გეპატიჟებოდათ ვვს-ში 40-იანი წლების ბოლოს?**

— რომც მივეწვიე, არ წავიდოდი. არასერიოზული საქმე წამოიწყო. ეტყობა არ ჰყოფნიდა გენერლობა ჰაერში. ფეხბურთშიც უნდოდა გენერლობა...

**● 1950 წლის დასაწყისში თქვენ მიატოვეთ „დინამო". რა მიზეზით?**

— გუნდში კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა. ასეა მუდამ. ასაკოვან ფეხბურთელებს უჭირთ მთელი დატვირთვით თამაში. იწყება დისკუსიები, უსიამოვნებები. მწვრთნელს აბრალებენ უსწოროდ მუშაობას.

**● ვინ იყო ამ კამპანიის ინიციატორი?**

— ბესკოვი, ტროფიმოვი... თუმცა ურთიერთობა მათთან დღემდე არ გამიწყვეტია. კონფლიქტური სიტუაციის დასაწყისი მაშინ აშკარად გამომეპარა, თანაც მამა გარდამეცვალა. გუნდი სეზონის წინ არ იყო მზად. ერთი სიტყვით, ერთმანეთს აღარ შევეფერებოდით. ასეთ დროს ყველაზე გონივრული გამოსავალი განშორებაა. „დინამოში" ხელახლა მიმიპატიჟეს უკვე 53 წელს.

**● ამ დროისათვის თქვენ გქონდათ ჰელსინკის ოლიმპიადის გამოცდილება. თუ არ ვცდები ფილმიც გადაიღეს მაშინ — „გოლი კრემლის კარში".**

— ამ ფილმთან დაკავშირებით სახკინოშიც კი მომიხდა დარეკვა. კონფლიქტური სიტუაცია სტალინსა და ტიტოს შორის უკვე არსებობდა, მაგრამ ჩხუბი ჩვენსა და იუგოსლაველ ფეხბურთელებს შორის არ მომხდარა. მათ მიმართ არავითარი პრეტენზია არ გვქონდა. შესვენების დროს გასახდელში იუგოსლაველი ფეხბურთელები ყვიროდნენ „ტიტო, ტიტო". ეს იყო და ეს.

**● თქვენ?**

— ჩვენ არაფერს არ ვყვიროდით სტალინის შესახებ. ვაგებდით 0:3. იუგოსლაველთა მაშინდელი გუნდი, ჩემი ღრმა რწმენით, საუკეთესო იყო. ასეთი ნაკრები იუგოსლაველებს არასოდეს ყოლიათ, ყოველ შემთხვევაში მე არ მინახავს. [illegible] იყვნენ ვუკასი, ბობეკი, მიტიჩი. მიუხედავად იმისა, რომ ვაგებდით ბრძოლას 1:5, შევძელით ანგარიშის გათანაბრება. ეს კი არა, დამატებით დროში მოგებაც შეგვეძლო ბესკოვს რომ გამოეყენებინა ტროფიმოვის პასი და ძელისათვის არ მოერტყა ბურთი. რაც შეეხება განმეორებით მატჩს, ჩვენებს, უბრალოდ, ძალა არ ეყოთ.

**● მაშინ საბჭოთა ნაკრების წარუმატებლობა მთლიანად თბილისის დინამოელ ავთანდილ ჭკუასელს დააბრალეს, რომელიც იმ დღეს გამოვიდა პირველად მთავარი გუნდის შემადგენლობაში?**

— ფილმის ავტორების თეორიით იგი შევიყვანეთ გუნდში იმიტომ, რომ საბჭოთა ფიზკულტურელების საუკეთესო მეგობრის თანამემამულე იყო. სისულელეა ეს ყველაფერი. სტალინს სპორტი არ აინტერესებდა. ნირკოვმა დაწერა, რომ თბილისელს საერთოდ არ ესმოდა რუსული, მთელი თამაშის განმავლობაში უაზროდ დარბოდა და სახეირო არაფერი გაუკეთებიაო. მერე მან უარყო თავისივე სიტყვები, ეტყობა ვილაცამ აიძულა ეთქვა ტყუილი. ჭკუასელი მე დავაწინაურე, სამწუხაროდ, მან ვერ გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება ყველაფერი ჭკუასელს დავაბრალოთ.

**● ოლიმპიადის შემდეგ ცდკა დაშალეს...**

— ზემოდან ვილაცამ თქვა დაშალეთ გუნდიო. ვინ თქვა? გაუგებარია. შეიძლება სტალინმა თქვა, მაგრამ ვინ გაიგონა მისი სიტყვები? მთელი ინფორმაცია მესამე პირისაგან მოდიოდა და არ არის გამორიცხული, რომ „მოშლილი ტელეფონის" ხასიათს ატარებდა. სტალინი არ იყო ფეხბურთის გულშემატკივარი და, საერთოდ, სპორტის ეს სახეობა არ აინტერესებდა. ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ ბერიას არასდროს უთამაშია ფეხბურთი.

**● 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მაშინ თქვენ სსრკ ნაკრების მეორე მწვრთნელი იყავით, გუნდმა ერთბაშად სამი ფეხბურთელი „დაკარგა". იქონია თუ არა ამან გავლენა ნაკრების თამაშის ხარისხზე?**

— ტატუშინი შეტევის მარჯვენა ფლანგზე, რა თქმა უნდა, უკეთ გამოიყურებოდა ვიდრე აპუხტინი. სტრელცოვი სიმონიანზე ახალგაზრდა იყო თერთმეტი წლით. ასე რომ, ტატუშინ-სტრელცოვის წყვილი მართლაც გარკვეულ ძალას წარმოადგენდა. ოგონკოვი და ბორის კუზნეცოვი დაახლოებით თანაბარი ძალისანი იყვნენ.

**● ასე რომ, ჩვენ ალბათ შეგვეძლო არც წაგვეგო მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან — ბრაზილიასთან.**

— ძნელი სათქმელია. ის კი ცხადია, რომ ჩვენი გუნდი თავდასხმაში უკეთ ითამაშებდა სტრელცოვი და ტატუშინი რომ ყოფილიყვნენ შვეციაში. გარინჩამ ჩვენი გუნდი გაანადგურა. ბრაზილიაში რომ ვიყავით, ბორის კუზნეცოვს ვუთხარი: „დააკვირდი ბორია, შესაძლოა მის წინააღმდეგ მოგიხდეს თამაში". შვეციაში ბორისმა რომ გარინჩა დაინახა, კინაღამ გული წაუვიდა. გარინჩამ პირველსავე წუთზე დაიწყო ტრიალი და... ერთი ბურთი ძელს მოარტყა, მეორე — ძლივს მოიგერია მეკარემ. მისი შეჩერება შეუძლებელი იყო.

**● როგორ მოხვდნენ ბიჭები იმ საბედისწერო 1958 წელს უსიამოვნო სიტუაციაში?**

— კაჩალინი ახლა აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მე მისთვის ათასჯერ მითქვამს. მან სიტუაცია სწორად ვერ შეაფასა. ბიჭები იმ დღეს არ უნდა ყოფილიყვნენ პუშკინოში და არაფერიც არ მოხდებოდა. მე ხშირად მეკითხებიან კარგი ფეხბურთელი იყო თუ არა სტრელცოვიო. იგი უნდა გამხდარიყო კარგი ფეხბურთელი, ის, რაც მან შეძლო მხოლოდ 50 პროცენტი იყო მისი ნამდვილი პოტენციალისა.

**● მწვრთნელებს, როგორც წესი, უმძიმესი ხვედრი აქვთ. მათ ხშირად აკრიტიკებენ პრესაში, საშინელი სიტყვებით ამკობენ ტრიბუნებიდან. და, რაც ყველაზე ტრაგიკულია, ხშირად თანამდებობიდან ხსნიან ჩინოვნიკები, რომლებსაც ფეხბურთის არაფერი გაეგებათ. თქვენც ხომ არაერთხელ ხართ მოხსნილი?**

— მე არასოდეს არ მოვუხსნივართ. თვითონ მივდიოდი ხელმძღვანელობასთან და კატეგორიულად ვუცხადებდი, რომ უნდა გადავმდგარიყავი. კონფლიქტური სიტუაცია იყო მხოლოდ ერთხელ, თბილისში, იქაური სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან. 1964 წლის სეზონის წინ ბოლო საწვრთნელი ვარჯიშის ჩატარებას „დინამოს" სტადიონზე მოვითხოვდი. გვათამაშეს „ბურევესტნიკზე". კომიტეტმა „დინამოს" სტადიონზე ცოცხალი ჭადრაკი მოაწყო ბრონშტეინისა და გაფრინდაშვილის მონაწილეობით. ფიგურების როლს მსახიობები ასრულებდნენ, მაგრამ ღონისძიება ჩაფლავდა, ხალხი არ მოვიდა სტადიონზე...

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" პრეზიდენტმა ალან შუგარმა სურვილი გამოთქვა 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაყიდოს გუნდი. მას, თურმე, გულშემატკივრები ემუქრებიან ცუდი შედეგებისათვის. ა. შუგარმა განაცხადა, რომ ყელში ამოუვიდა ეს ყველაფერი. „ვისაც ჰგონია, რომ „ტოტენჰემში" ბევრ ფულს ვკეთებ, მოვიდეს ჩემს ადგილას და იმუშაოს. ვთხოულობ მხოლოდ იმას, რაც კლუბს დავახარჯე" — თქვა მან.

და მაინც საყურადღებოა ცნობილი ფეხბურთელის იურგენ კლინსმანის სიტყვები: „ტოტენჰემიდან" წავედი სწორედ იმიტომ, რომ შუგარი ხარბი კაცია და მხოლოდ თავის ფულებზე ფიქრობს".

● გამოჩენილი გერმანელი ფეხბურთელი, ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი წევრი უვე ზეელერი „ჰამბურგის" პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს, ვინაიდან რონალდ ვულფს არ სურს მომავალ არჩევნებში (ნოემბერი) მიიღოს მონაწილეობა.

● გერმანიის ცნობილი „კიოლნი" ეროვნული თასის გათამაშებაში დამარცხდა მეოთხე დივიზიონის სამოყვარულო კლუბ „ბაკუმთან". ეს საკმარისი გახდა, რომ მოეხსნათ გუნდის მწვრთნელი მორტენ ოლსენი, დანიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე.

● პორტუგალიის ქალაქ გაიაში აპირებენ ერთ-ერთ ქუჩას დაარქვან გამოჩენილი ფეხბურთელის ეისებიოს სახელი.

● ამერიკის შეერთებული შტატების ტენესის შტატის ქალაქ დეკატურში სამოყვარულო გუნდების შეხვედრისას ერთ-ერთი კლუბის მოთამაშე ხუან სანტა-როსა სრული სისწრაფით შეეჯახა კარის ძელს, გადაამტვრია და მიღებული ტრავმისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა.

● ბრაზილიაში ამას წინათ შედგა ახალგაზრდული გუნდების მატჩი, რომლის დროსაც მაყურებელთა შორის ატყდა დიდი დებოში, ბევრნი დაიჭრნენ, ერთი მათგანი გარდაიცვალა. ბრაზილიის სპორტის მინისტრმა პელემ მოითხოვა, რომ ხულიგნების წინააღმდეგ მიიღონ მკაცრი ზომები, გაასამართლონ და დასაჯონ ისინი.

● სამხრეთ ამერიკაში მეტად პოპულარული ტურნირის „ლიბერტადორესის თასის" გათამაშების ფინალში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ბრაზილიის „გრემიო" და კოლუმბიის „ატლეტიკო ნასიონალი". პირველი მატჩი ბრაზილიელებმა შინ მოიგეს ანგარიშით 3-1, მეორეში კოლუმბიელებმა საკუთარ მინდორზე მხოლოდ ფრეს მიაღწიეს (1-1) და პრიზიც „გრემიოს" ხვდა წილად.

● მოსკოვის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა კონსტანტინე ბესკოვმა კლუბის ხელმძღვანელობას ოფიციალური განცხადებით მიმართა თავისი გადადგომის შესახებ. მთავარი მწვრთნელის მოვალეობას გუნდში დროებით ასრულებს ადამას გოლოდეცი.

● ცნობილი ფრანგი მწვრთნელი ანრი მიშელი მიიწვიეს მაროკოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელად ადრინდელი მწვრთნელის ბრაზილიელი ჟილსონ სიგეირა ნუნიესის ნაცვლად.

● ბულგარეთის ნაკრების ცნობილი მეკარე, 33 წლის ბორისლავ მიხაილოვი საფრანგეთის „მიულუზიდან" გადავიდა ინგლისის III დივიზიონის „რიდინგში".

● მოსკოვის „ლოკომოტივმა" ამას წინათ სპონსორულ კონტრაქტს მოაწერა ხელი სამხრეთ კორეის ფირმა „სამსუნგთან", ხელშეკრულების ვადაა 1 წელიწადი. კონტრაქტის ძალით „სამსუნგი" სხვადასხვაგვარ დახმარებას გაუწევს მოსკოველებს, „ლოკომოტივი" კი ვალდებულია რეკლამა გაუკეთოს კორეელებს (წარწერები სტადიონის სტენდებზე, მაისურებზე, საკლუბო ტრანსპორტზე, ტელე-რადიო რეპორტაჟებში და სხვ.).

● წლეულს შემოდგომით განზრახულია ახალი შეჯიბრების, ე. წ. აფრიკა-აზიის თასის გამართვა, ერთმანეთს შეხვდებიან ნიგერიისა და უზბეკეთის ნაკრები გუნდები. პირველი მატჩი 21 ოქტომბერს შედგება ტაშკენტში, ხოლო მეორე — ნოემბრის ბოლოს ლაგოსში.

● აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია მთლიანად მხარს უჭერს უეფას წინადადებებს საერთაშორისო ფეხბურთში საჭირო გარდაქმნათა თაობაზე. კერძოდ, ყოველ კონტინენტს უფლება მიეცეს მონაცვლეობით გამართოს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ტურნირები და, გარდა ამისა, ცვლილებები მოხდეს ფიფას ხელმძღვანელ ორგანოებში.

● ურუგვაის ნაკრების ნახევარმცველმა ენცო ფრანჩესკოლიმ დაიმსახურა „ოქროს ბურთის" პრიზი, როგორც არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშემ (გამოდის „რივერ პლეიტში"). საუკეთესო დებიუტანტად აღიარეს ხავიერ მაციონი („ინდეპენდიენტე"), საუკეთესო მწვრთნელად — ჰექტორ ვეირა („სან-ლორენცო"), საუკეთესო არბიტრად — ხავიერ კასტრილი.

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა ოფიციალური საინსპექციო ვიზიტით მოინახულა საფრანგეთის ზოგიერთი ქალაქის სტადიონი, სადაც უნდა გაიმართოს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის თამაშები (პარიზი, მარსელი, ოსერი). ჟ. აველანჟმა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ალენ ჟიუპემ პირველი ქვა ჩადეს მშენებარე სტადიონის „გრან სტადის" საძირკველში, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქის მახლობლად სენ-დენიში მდებარეობს. აქ მოხდება მსოფლიო ჩემპიონატის გახსნა და დახურვა. „გრან სტადი" დაიტევს 80 ათას მაყურებელს, დაჯდება 2 მილიარდი ფრანკი, მშენებლობა დასრულდება 1997 წლის ნოემბერში. რეკონსტრუქციის პერიოდშია მეორე სტადიონი — მარსელის „ველოდრომი", მომავალში იგი 40-ის ნაცვლად დაიტევს 60 ათას მაყურებელს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## რა ხდება ქვეყანაზე

• საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გაგებით მოეკიდა ბელარუსის ეოკის თხოვნას ახალგაზრდა სპორტსმენთათვის სამი დამატებითი სტიპენდიის გამოყოფის თაობაზე. კონვერტირებულ ვალუტას ყოველთვიურად მიიღებენ: მოცურავე ელენე მარინიჩი, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე დიმიტრი დიბელკა და მხატვრული ტანმოვარჯიშე ოლგა გონტარი. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ბელარუსი ატლანტის ოლიმპიადაზე 200-კაციან დელეგაციას გააგზავნის. პირველ სამ საპრიზო ადგილებზე გასულნი ჯილდოდ მიიღებენ შესაბამისად, 50, 40 და 30 ათას დოლარს.

• ესპანელი მიგელ ინდურაინი კოლუმბიაში ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ აპირებს ტონი რომინგერის (შვეიცარია) მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას ერთსაათიან რბოლაში. ველოსიპედისტის მომზადებას ხელმძღვანელობს მთელი ბრიგადა საბინო პადილიას თავკაცობით. სპეციალისტთა რეკომენდაციით, რეკორდისთვის ოპტიმალური სიმაღლეა 3 800 მეტრი ზღვის დონიდან, სადაც ჟანგბადის დეფიციტის კომპენსაცია საუკეთესო აეროდინამიკური მონაცემების ხარჯზე ხდება. პადილიას განცხადებით ინდურაინი რეკორდის გაუმჯობესებას შეეცდება მეხიკოში ან ბოგოტაში, თუმცა კი იდეალური ადგილი ალბათ მაინც ლა-პასი იქნება. თუ არც ერთმა ზემოთ ჩამოთვლილმა ქალაქმა არ გაუმართლა, მაშინ მსოფლიოს რეკორდს ბორდოში (საფრანგეთი) შეეჭიდება.

• „შელის“ კონცერნმა გამოაცხადა, რომ 1996 წლის 1 იანვრიდან სპონსორობას გაუწევს „ფერარის“ ავტომობილისტთა გუნდს („ფორმულა-1“). ეს დიდად შეუწყობს ხელს გუნდის პოტენციალის გაზრდას, მით უფრო, რომ მომავალი სეზონიდან მის ღირსებას მსოფლიო ჩემპიონი მიჰაელ შუმახერი დაიცავს. „ფერარისთან“ კონტრაქტი გაწყვიტა (ფინანსური სირთულეების გამო) „აჯილის“ კომპანიამ.

• თურქეთში დიდი ზეიმით აღნიშნეს ის ამბავი, რომ ამ ქვეყნის ნაკრებმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა უფლება ითამაშოს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. სადღესასწაულო დემონსტრაციები მთელი ღამით არ შემწყდარა, სტამბულში ჩაიხერგა გზები, მოხდა ავარიები, 25 კაცი დაშავდა და დაიჭრა. პრემიერ-მინისტრმა თანსუ ჩილერმა ტელევიზიით გამოსვლისას თქვა, რომ მომავალ ზაფხულს განზრახული აქვს ინგლისს გაემგზავროს თავისი გუნდის საქომაგოდ.

რა ხდება ქვეყანაზე



# პრეზენტაცია და კენჭისყრა ცათამბჯენის 107-ე სართულზე



კასპაროვი — ანანდი

კასპაროვ-ანანდის მატჩს მსოფლიოს პირველობაზე (პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ეგიდით), რომელიც ნიუ-იორკში „უორლდ ტრეიდ სენტრის“ ცათამბჯენის 107-ე სართულზე მდებარეობს, წინ უსწრებდა საკმაოდ მდიდრული პრეზენტაცია და კენჭისყრა. აი, სწორედ აქ გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები (ცხადია, არაოფიციალურად) დარბაზში შეკრებილმა მოჭადრაკეებმა.

ბობ რაისი (ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი). მე უმთავრესად მატჩის ორგანიზაციით ვარ დაკავებული და პასუხს ვაგებ ორთაბრძოლის სწორედ ამ მხარეზე. ოთახი, რომელშიც თამაშობენ პრეტენდენტები, დაცულია ყოველმხრივ მინის ორმაგი ტყვიაგაუმტარი და ცეცხლგამძლე კედლებისაგან. ამ ოთახის ამორტიზაცია ასოციაციას 100 ათასი დოლარი დაუჯდა.

რობერტ ბირნი. ანანდი ძალზე ნიჭიერი მოჭადრაკეა, რაც მან არაერთხელ დაამტკიცა მატჩებშიც და ტურნირებშიც. მაგრამ კასპაროვი ჭადრაკის გიგანტია. დარწმუნებული ვარ ბრძოლა 15 პარტიაში დასრულდება. გაიმარჯვებს მსოფლიო ჩემპიონი.

იენ როჯერსი. კასპაროვს მეტი შანსი აქვს მოიგოს ბრძოლა, თუმცა 20 პარტიისაგან შემდგარ მატჩში ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი, ვინაიდან შემთხვევითობის ფაქტორი მატულობს. თუ ანანდი ძლიერ დარტყმას მიაყენებს მეტოქეს დასაწყისში არ არის გამორიცხული, რომ შეინარჩუნოს ანგარიში. ობიექტურად სასწორი კასპაროვის მხარეს უნდა გადაიხაროს, მაგრამ, ვიმეორებ, ამ მატჩში ყველაფერია მოსალოდნელი .

ლეონიდ შამკოვიჩი. შესაძლებელია პირველ ნახევარში ანანდმა ერთგვარი უპირატესობა მოიპოვოს. შესაძლოა დიწინაურდეს კიდეც, მაგრამ საბოლოო გამარჯვება, ჩემი ღრმა რწმენით, კასპაროვს დარჩება, თანაც 2 ქულით.

ლუვ ალბურტი. ძალთა შეფარდება მეტოქეებს შორის იქნება 3:2 კასპაროვის სასარგებლოდ. ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული მატჩის პირველ ორ კვირაზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ანანდს ჰყავს სამი გამოჩენილი მწვრთნელი — იუსუფოვი, უბილავა და განსაკუთრებით დვორეცკი, რომელიც დღისდღეობით მსოფლიოში უძლიერეს მწვრთნელად მიმაჩნია. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტორია. ვფიქრობ, რამდენადმე შესამჩნევ უპირატესობას ვერც ერთი მხარე ვერ მიაღწევს. მატჩი 18 პარტიაში დამთავრდება.

იასერ სეირავანი. კასპაროვი გაიმარჯვებს 2 ქულის უპირატესობით. თუმცა, სხვა მსგავსი მატჩებისაგან განსხვავებით მარჩიელობა აქ ძნელია. ვფიქრობ, ბრძოლა დროზე ადრე დამთავრდება. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ ანანდისთვის ეს არის პირველი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე, კასპაროვისთვის კი — მორიგი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დონის და მნიშვნელობის მატჩი მსოფლიო ჩემპიონს ბარე 8 წელიწადია არ უთამაშია.

ჭადრაკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ყოველი პარტია ნიუ-იორკში იწყება თბილისის დროით 24 საათზე, რეგლამენტით განსაზღვრულია 7-საათიანი სათამაშო დრო.

**ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიშია 2:2. ოთხივე პარტია ყაიმით დამთავრდა.**



# „დიდი სლემის“ ბოლო აკორდი

## აშშ-ს ღია პირველობა ჩოგბურთში • ტექნიკური შედეგები

ვაჟები. ნახევარფინალები. პიტ საძპრასი — ჯიმ კურიე (ორივე — აშშ) 7:5, 4:6, 6:4, 7:5; ანდრე აგასი (აშშ) — ბორის ბეკერი (გერმანია) 7:6, 7:6, 4:6, 6:4. ფინალი. პიტ სამპრასი — ანდრე აგასი 6:4, 6:3, 4:6, 7:5.

ქალები. ნახევარფინალები. შტეფი გრაფი (გერმანია) — გაბრიელა საბატინი (არგენტინა) 6:4, 7:6; მონიკა სელეში (აშშ) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:2, 6:2. ფინალი. შტეფი გრაფი — მონიკა სელეში 7:6, 0:6, 6:3.

ვაჟთა წყვილები. ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (ორივე — ავსტრალია).

ქალთა წყვილები. ჯიჯი ფერნანდესი (აშშ) და ნატალია ზვერევა (ბელარუსი).



ვეტერანი ვაჟები (35 წ.). ვიჯაი არმიტრაჟი (ინდოეთი) და ტიმ უილკინსონი (აშშ).

ვეტერანი ვაჟები (45 წ.). ხაიმე ფილოლი (ჩილე) და მანუელ ორანტესი (ესპანეთი).

ვეტერანი ქალები. კეტი მეი (აშშ) და ვირჯინია უეიდი (დიდი ბრიტანეთი).

იუნიორი ვაჟები, ერთეულები. ნიკოლოს კეიფერი (გერმანია).

იუნიორი ვაჟები, წყვილები. ლი ხონ მინი (კორეა) და ჯოსელინ რობიჩაუდი (კანადა).

იუნიორი გოგონები, ერთეულები. ტარა შნაიდერი (აშშ).

იუნიორი გოგონები. წყვილები. კორინა მორარიუ (აშშ) და ლიუდმილა ვარმუზოვა (სან-მარინო).

•

სურათზე: შტეფი გრაფი.

# ნბა-ს ამბები

პროფესიული კალათბურთის სტატისტიკოსებს აინტერესებთ ყველაფერი, რაც ჯორდანის გვართან არის დაკავშირებული: საიდან წარმოსდგება იგი, ვინ იყვნენ ლეგენდარული მაიკლის უახლოესი და შორეული წინაპრები, როდის გადმოვიდა ამერიკაში საცხოვრებლად ეს გვარი და სხვ. სულ ახლახანს სტატისტიკოსებმა დაადგინეს, რომ ნბა-ში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კლუბში კიდევ შვიდი ჯორდანი გამოდიოდა. ფილ ჯორდანი თამაშობდა „დეტროიტსა“ და „ნიუ-იორკში“. მას თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე, 2830 ქულა აქვს „გაკეთებული“. ჩარლზ ჯორდანი თამაშობდა „ინდიანაში“ (371 ქულა), ედი ჯორდანი — „კლივლენდში“, „ლეიკერსში“, „ნიუ-იორკსა“ და „პორტლენდში“ (3414 ქულა), უოლტერ ჯორდანი — „კლივლენდში“ (88 ქულა), თომას ჯორდანი — „ფილადელფიაში“ (44 ქულა), რეჯი ჯორდანი — „ლეიკერსში“ (128 ქულა) და ადონის ჯორდანი — „დენვერში“ (15 ქულა).

პარიზში ტერორისტული აქტების უჩვეულო სიმრავლემ ქალაქის მუნიციპალიტეტს ხელი აალებინა მაიკლ ჯორდანის საჩვენებელ შოუზე, რომელიც ტროკადეროს მოედანზე უნდა მოწყობილიყო. წინასწარი მონაცემებით სანახაობას 30 ათასი კალათბურთის გულშემატკივარი დაესწრებოდა. მუნიციპალიტეტი სწორედ ამან შეაშინა, ვინაიდან ტერორისტები ეძებენ ხალხმრავალ ადგილებს. შოუს ნაცვლად გაიმართება ჯორდანის პრესკონფერენცია. პარიზში მაიკლი ჩამოვა კიოლნიდან, დარჩება ერთ დღეს და გააგრძელებს ტურნეს ბრიუსელში.

როცა „დეტროიტ პისტონზის“ ცენტრალური თავდამსხმელის ოლივერ მილერის წონამ 150 კილოგრამს მიაღწია, ჟურნალისტებმა გამოთქვეს მოსაზრება შეეცვალა პროფესია და კალათბურთიდან სუმოში გადასულიყო. კლუბის ხელმძღვანელობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მილერი არ (ან ვერ) იკლებდა წონას. ამიტომაც ერთ-ერთი დრაფტით იგი „ტორონტოში“ გაუშვეს. ამ გუნდს მართლაც სჭირდება ფიზიკურად ძლიერი ცენტრი, მაგრამ მილერს წაუყენეს პირობა — ან დაიგდებს ზედმეტ კილოგრამებს, ან გამოეთხოვება კლუბს.

პროფესიულ კალათბურთში ამბობენ, რომ თუ გინდა კარგი გამთამაშებელი გამოხვიდე, ოკლენდში უნდა დაიბადო და ერთხანს ამ ქალაქის რომელიმე კლუბში ითამაშო. საქმე სწორედ ის არის, რომ ნბა-ს უძლიერესი გამთამაშებლები ბრაიან შო („ორლანდო“), გერი პეიტონი („სიეტლი“) და ჯეისონ კიდი („დალასი“) ოკლენდის კოლეჯებში არიან აღზრდილნი, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთს არ იცნობდნენ.

ოკლენდის პოლიციის თანამშრომელი ლერი კრუპი შეეცადა დაეკავებინა საღამოს კლუბიდან ნასვამ მდგომარეობაში გამოსული „უორიორზის“ მცველი ლეტრელ სპრიუელი. მაგრამ ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა წესრიგის დამცველს, ჩაჯდა მანქანაში და გაპარვა მოინდომა. პოლიციელი, ბუნებრივია, დაედევნა დამნაშავეს, ერთ-ერთ მოსახვევში დააკავა იგი და პოლიციაში მიაბრძანა. სპრიუელი რამდენსამე საათში გაანთავისუფლეს თავდებში, ოღონდ ამაში 6 ათასი დოლარი გადაახდევინეს.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. სპორტული თამაში ინგლისსა და აშშ-ში, 5. საჭადრაკო ფიგურა, 6. ოლიმპიური თამაშების (1952 წ.) პრიზიორი ქალი საქართველოდან, 10. გერმანელი ტანმოვარჯიშე ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი (1972), 11. ცხენოსანი ანუ... 12. სპორტსმენთა ასაკობრივი კატეგორია, 13. კროკეტში ბურთის მოხვედრება მეტოქის ბურთზე, 15. ჰაერით გაბერილი სათამაშო საგანი, 17. სსრ კავშირის უძლიერესი ველოსპრინტერი, 19. ილეთი ანუ... 21. ცხენის აღკაზმულობის ინვენტარი, 22. გერმანელი მოცურავე ქალი მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი (1972), 26. ერთ-ერთი უძლიერესი საბჭოთა ველომრბოლი, ოლიმპიური ჩემპიონი (1972), 27. ციგაობაში მსოფლიოში სახელგანთქმული (50-იან წლებში) და-ძმის გვარი (ავსტრია), 28. საფეხბურთო სკოლა თბილისში, 29. მასობრივი ასვლა მაღალმთიან ადგილებში, 30. სახელგანთქმული პორტუგალიელი ფეხბურთელი, 32. წმინდა წაგება კრივში, 33. ზამთრის სპორტული კომპლექსი ყაზახეთში. 35. ტანმოვარჯიშე ქალი ბელორუსიიდან, ოლიმპიური ჩემპიონი (1972), 36. სპორტული ნავი, 37. მაგიდის ჩოგბურთში მსოფლიოს 11-გზის ჩემპიონის ოგიმურას სახელი.

**შვეულად:** 1. ფრანც ბეკენბაუერის ზედმეტსახელი, 2. მოგზაურობის მოყვარული, 3. მხატვრული ტანვარჯიშისათვის ხელში სატრიალებელი სპორტული იარაღი, 4. ამერიკელი სპორტსმენი ქალი — 1973 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ციგურაობასა და ველოსპრინტში, 7. სათხილამურო ცენტრი საქართველოში, 8. ოსი ფალავანი — ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, 9. სპორტულ ნაგებობებზე ამაღლებული რიგები მაყურებელთათვის, 13. სპორტული თანრიგი, 14. ცნობილი საფეხბურთო ქვეყანა, 15. სახელოვანი შვედი ჩოგბურთელი, 16. ესტონელი სპორტსმენი — სპორტულ სიარულში ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი, მსოფლიოს რეკორდსმენი, 17. საჩოგბურთო მოედანი, 18. ოლიმპიური ჩემპიონი კრივში (1920) და ბობსლეიში (1932), 19. საფარიკაო ტერმინი, 20. ფინელი ბიატლონისტი — მსოფლიო ჩემპიონი (1975), 23. თბილისის საფეხბურთო გუნდი, 24. ძველი ბერძენი მორბენალი, თორმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 25. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, 31. რუსი მსახიობი, ჩოგბურთელი, კომენტატორი, 32. ცხენის ლაღი სვლა, 33. სპორტული შეჯიბრება, შეხვედრა, 34. იაპონელი ძიუდოისტი — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი.

### „ლელოს“ 34-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. ზურნა, 4. ხალთა, 6. რბოლა, 7. რეინა, 9. არაბული, 14. ამუნიცია, 15. ანატომია, 18. აზია, 19. გონსალესი, 20. „ალგა“, 23. „ალანია“, 24. „ხიხანი“, 25. კიი, 26. ოდა, 27. ემიანი, 29. ფიშერი, 33. პატი, 34. ჰოლიფილდი, 35. გოლი, 38. სტადიონი, 32. ედვარდსი, 41. ნიკოლაუ, 42. ეგიდა, 44. კეინო, 46. იგენი, 47. „დუკლა“.

**შვეულად:** 1. ორმო, 2. კლეი, 3. ზურგჩანთა, 5. აბალაკოვი, 8. ნბა, 10. რეიტინგი, 11. ლინარესი, 12. „ომონია“, 13. ბიკილა, 16. ჰანდიკაპი, 17. „სამპდორია“, 21. შლემი, 22. უნარი, 28. ნალბანდი, 30. ირლანდია, 31. სტარტი, 32. ნონესი, 36. ხადარცევი, 37. ბარსელონა, 40. ლოუ, 43. იდეა, 45. იუკო.

## კრიმინალური ქრონიკა

გერმანიის პოლიციამ სამხრეთ ბავარიაში დააკავა 28 წლის მამაკაცი, რომელიც შარშან თებერვლიდან ურეკავს ბეკერს მუქარით, ფულის გამოძალვის მიზნით. პოლიციამ მას ფაქტზე მიუსწრო მეოცე მუქარის დროს. იგი სიკვდილით ემუქრებოდა თავად ჩოგბურთელს, მის მეუღლესა და შვილს, აგრეთვე მენეჯერს აქსელ მაიერ-ვოლდენს. ბეკერი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა გაეხიზნა ოჯახი ერთ მიყრუებულ სოფელში. ბოროტმოქმედმა დაადასტურა თავისი განზრახვა ფულის გამოძალვის შესახებ.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური. მ. წოწორია